

**საქართველოს ფინანსურის მონიტორინგის სამსახურის უფროსის
ბრძანება №3**

**2018 წლის 2 აპრილი
ქ. თბილისი**

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

დანართი 1

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

N	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
157	KHATIBA IMAM AL-BUKHARI (KIB)	Khataib alImam alBukhari	<p>ა) ავღანეთ/პაკისტანის სასაზღვრო არეალი (წინა მდებარეობა)</p> <p>ბ) ხანშაიხუმი, სირიის არაბთა რესპუბლიკა (KhanShaykhun,) (53 კმ სამხრეთით იდლიბიდან (Idlib), 2018 წლის მარტის მდგომარეობით.</p> <p>გ) იდლიბი, ალეპო და ხამა, სურის არაბთა რესპუბლიკა (Idlib, Aleppo and Khama) საოპერაციო ზონა</p>	29.03.18	<p>ასოცირებულია Al-Nusrah Front for the People of the Levant-თან (იურიდიულ პირთა სიაში 139-ე).</p> <p>ჩაიდინა ტერორისტული აქტები სირიის არაბთა რესპუბლიკაში.</p> <p>2016 წლიდან ჩრდილოეთ ავღანეთში გადავიდა, ცენტრალური აზიის ქვეყნებში თავდასხმების ორგანიზებისათვის.</p> <p>INTERPOLUN Security Council Special Notice-ის მისამართი: https://www.interpol.int/en/notice/search/un/XXXXX</p>